საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

პოლიტიკის ნარკვევი

აგვისტო 2023 / გამოცემა #52

საქართველოსა და უკრაინას შორის ურთიერთობებში არსებული გამოწვევები: სტრატეგიული მოკავშირეები ანტაგონიზმის სპირალში

ვოლოდიმირ პოსვიატენკო[1]

მოკლე შინაარსი

ურთიერთობები ორ ქვეყანას - საქართველოსა და უკრაინას, შორის, რომლებიც დიდი ხანია ერთმანეთს ახლო სტრატეგიულ პარტნიორებად განიხილავენ, ყველაზე დაბალ ისტორიულ ნიშნულზეა. ყველაზე პრობლემური პერიოდი ამ ორი შავიზღვისპირა სახელმწიფოს ორმხრივი ურთიერთობების ისტორიაში უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრიდან დაიწყო, რომელიც უკვე წელიწადზე მეტია მიმდინარეობს. საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლებებს შორის წარმოქმნილმა უამრავმა უთანხმოებამ იდეოლოგიური, ღირებულებითი, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ორიენტაციაში განსხვავებები და ერთმანეთის მიმართ სოლიდარობის ნაკლებობა გამოავლინა. შედეგად, ისედაც დაძაბული ურთიერთობები, სრულმასშტაბიანი ინტერვენციის შემდეგ სულ უფრო უარესდება. საქართველოს ხელისუფლება, მისი კონფრონტაციული რიტორიკითა და უკრაინის დადანაშაულებით, ამ ტრადიციულ მეგობრულ კავშირებს აზიანებს. თავის მხრივ, უკრაინა, რომელიც უფრო მკაფიო სოლიდარობის მოელოდა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, მის ქმედებებზე მკაცრად რეაგირებს.

[1] ვოლოდიმირ პოსვიატენკოს ევროპული და გლობალური კვლევების მაგისტრის ხარისხი კრაკოვის იაგელონის უნივერსიტეტსა და პადუის უნივერსიტეტში მიენიჭა. მანამდე მას მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი ევროპულ კვლევებში კრაკოვის იაგელონის უნივერსიტეტში, ხოლო საერთაშორისო სამართალში ლვოვის ივან ფრანკოს სახელობის ეროვნულ უნივერსიტეტში. ბაკალავრიატზე სწავლისას ვოლოდიმირმა ერთი სემესტრი ბელგიაში ლუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტში გაიარა როგორც გაცვლითმა სტუდენტმა Erasmus+ პროგრამის ფარგლებში. მისი სამეცნიერო ინტერესის სფეროებია კავკასიის, აღმოსავლეთ ევროპისა და ბალკანეთის ქვეყნები პოლიტიკა და საზოგადოება, ევროკავშირის გაფართოება, ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, ეთნოკულტურული და ენობრივი მრავალფეროვნება.

საქართველო-უკრაინის ურთიერთობებში კრიზისის დასაძლევად გზა არის საპოვნელი. ორივე სახელმწიფოს მთავრობებმა მტკიცე ნაბიჯები უნდა გადადგან ამ სტრატეგიული პარტნიორობის აღსადგენად და მწვავე განსხვავებების გადასალახად. საქართველოს ხელისუფლებამ მკაფიოდ უნდა გამოხატოს სოლიდარობა უკრაინის მიმართ და თავი შეიკავოს კონფრონტაციული რიტორიკისგან, რადგან უკრაინა საქართველოსგან ურთიერთგაგებაზე დამყარებულ ურთიერთობას მოელის. არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია უკრაინასა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობა და უკრაინელი და ქართველი ხალხის მჭიდრო ურთიერთობა.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, უკრაინა, საქართველო-უკრაინის ურთიერთობები, ევროკავშირი, ასოცირებული ტრიო, რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრა უკრაინაში.

შესავალი

საქართველო და უკრაინა სტრატეგიული პარტნიორები არიან, რომლებსაც აერთიანებთ საერთო ღირებულებები, ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებები, გეოპოლიტიკური კავშირები, დემოკრატიული ტრანსფორმაციის მეტ-ნაკლებად მსგავსი პროცესები და ჰყავთ საერთო მტერი რუსეთის სახით. თუმცა, ბოლო წლებში ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობები მნიშვნელოვნად დაიძაბა. ეს უთანხმოება განსაკუთრებით თვალნათლივ 2022 წლის თებერვალში, უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ, გამოჩნდა და ეს ტრადიციულად მეგობრული კავშირები განუხრელად უარესდება ანტაგონიზმის და პოლიტიკური პაექრობის ვითარებაში. სხვადასხვა საერთაშორისო პლატფორმაზე უკრაინისთვის მხარდაჭერის გამოცხადების მიუხედავად, საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას ბუნდოვანი პოზიცია აქვს რუსეთის მიმართ, რაც უკრაინასა და საქართველოს შორის ნდობას ამცირებს. ეს მდგომარეობა ლეგიტიმურ კითხვებს ბადებს ამ სტრატეგიულ პარტნიორებს შორის არსებული განხეთქილების პოტენციურ გრძელვადიან შედეგებთან დაკავშირებით.

წინამდებარე პოლიტიკის ნარკვევში შეფასებულია საქართველო-უკრაინის ურთიერთობების არსებული მდგომარეობა, გაანალიზებულია ამ ურთიერთობების დინამიკა და უთანხმოების ძირითადი საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროცესებს, რომლებიც უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდგომ პერიოდში განვითარდა, რაც საქართველო-უკრაინის ურთიერთობების ისტორიაში ყველაზე რთული პერიოდია. ცალკეა გაანალიზებული ევროპული ინტეგრაციის საკითხის აქტუალურობა ამ ორმხრივ ურთიერთობებში. პოლიტიკის ნარკვევში ორივე ქვეყნის მთავრობებისთვის არის შემოთავაზებული რეკომენდაციები ამ პრობლემის გადასაჭრელად.

საქართველო-უკრაინის ურთიერთობები: თანამშრომლობის განმსაზღვრელი ფაქტორები და მთავარი გამოწვევები

ტრადიციულად, უკრაინა და საქართველო მძლავრი და მეგობრული ურთიერთობებით გამოირჩევიან. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის და დემოკრატიული რევოლუციების საერთო გამოცდილებამ უკრაინას და საქართველოს უბიძგა, პოლიტიკური ურთიერთობები ტანდემში განევითარებინათ (Shelest 2013). ისეთი ღირებულებითი ფაქტორები, როგორებიცაა ეროვნული თვითმყოფადობის ძლიერი განცდა, საერთო დემოკრატიული ღირებულებები და ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებები, მათი თანამშრომლობის განმსაზღვრელ ფაქტორებად იქცა.

ამ ორი ქვეყნის თანამშრომლობა უსაფრთხოების საერთო გამოწვევებმაც განაპირობა. უკრაინა და საქართველო რუსეთის აგრესიის მსხვერპლია, რომელმაც ორივე ქვეყანაში ტერიტორიები დაიპყრო. რუსეთს მსგავსი სტრატეგია აქვს ამ ორი ქვეყნის მიმართ, რაც მას ამ ქვეყნების უსაფრთხოების მთავარ საფრთხედ აქცევს და აძლიერებს მათ საერთო სწრაფვას ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ. იმის გათვალისწინებით, რომ ორივე ქვეყანას შავ ზღვაზე გასასვლელი აქვს, საქართველო-უკრაინის ურთიერთობებში უფრო ფართო გეოპოლიტიკური ფაქტორებიც ფიგურირებს. შავ ზღვაზე თანამშრომლობა აძლიერებს რეგიონის უსაფრთხოებას და ეხმარება საქართველოს, განავითაროს ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები ევროატლანტიკურ სივრცესთან.

ქართულ-უკრაინული პარტნიორობის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ძალაუფლებაში მყოფ პიროვნებებზე გადაჭარბებული დამოკიდებულება და პოლიტიკურ ელიტებს შორის მაღალი დონის კონტაქტებია. ამ სახელმწიფოებს შორის ყველაზე დიდი სიახლოვე და დინამიკური ურთიერთობები 2000-იან წლებში იყო, მიხეილ სააკაშვილისა და ვიქტორ იუშჩენკოს პრეზიდენტობის პერიოდში. ამ დროს დაიწყო საქართველოსა და უკრაინას შორი სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბება, რომელმაც ეს ორი ქვეყანა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საერთო მიზნებით შეაკავშირა. უკრაინაში მოსწონდათ სააკაშვილის ხელისუფლება, როგორც მოდერნიზების რეფორმატორების მთავრობა, ხოლო მის მიერ გატარებული ბევრი რეფორმის წარმატება ადასტურებდა, რომ პოსტ-საბჭოთა ქვეყანაში კორუფციის ეფექტიანად დამარცხება შესაძლებელი იყო. საქართველოს მაგალითი უკრაინული დემოკრატიული მოძრაობის კატალიზატორი გახდა (Hayday 2016). შედეგად, ყოფილი პრეზიდენტის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ენმ) პარტიასა და უკრაინის პროდასავლელ პოლიტიკოსებს შორის მჭიდრო კავშირი დამყარდა (Kakachia 2014).

ქართული ოცნების მთავრობისთვის, ენმ-დან მისი პოლიტიკური ოპონენტების, მათ შორის მიხეილ სააკაშვილის უკრაინის საშინაო პოლიტიკაში ჩართვა განხეთქილების მთავარი ფაქტორი იყო ამ ქვეყნების ორმხრივ ურთიერთობებში. სააკაშვილისთვის უკრაინის მოქალაქეობის მინიჭებამ და ოდესის რეგიონის გუბერნატორად მისმა დანიშვნამ ქართული ოცნების ხელისუფლება გააღიზიანა, უკრაინის ხელისუფლება კი ამტკიცებდა, რომ ამ საკითხს ორმხრივი ურთიერთობების მიღმა განიხილავდა (Hayday 2016). ამრიგად, ეგრეთ

წოდებული „სააკაშვილის ფაქტორი“ განხეთქილების ერთ-ერთი ელემენტი გახდა საქართველო-უკრაინის ურთიერთობებში.

ამავდროულად ქართული ოცნების ხელისუფლებამ რუსეთის მიმართ „არგაღიზიანების“ პოლიტიკა აირჩია, რომელიც გულისხმობდა უფრო თავშეკავებულ და შემრიგებლურ მიდგომას რუსეთის მიმართ, კონფრონტაციული რიტორიკისგან თავის შეკავებასა და ეკონომიკურ საკითხებზე კონცენტრირებას. საერთაშორისო ფორუმებზე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან უკრაინის მხარდაჭერის გაგრძელების მიუხედავად, ამ პოლიტიკამ უკრაინაში უნდობლობა და მისი გრძელვადიანი შედეგების მიმართ ეჭვი გააჩინა (Hayday 2016). ამრიგად, საქართველო-უკრაინის ურთიერთობები ძალიან დაიძაბა.

ამ ორი ქვეყნის ხელისუფლებებს შორის ორმხრივი ურთიერთობების ცვალებადი ხასიათის მიუხედავად, ამ ქვეყნების საზოგადოებები ერთმანეთის მიმართ ძალიან დადებითად არიან განწყობილნი. ამას ადასტურებს ქართველების საყოველთაო მხარდაჭერა უკრაინის მიმართ რუსეთის სრულმასშტაბიანი ინტერვენციის დროს - საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა, 88%, უკრაინის მხარდამჭერია (Civil Georgia 2022a). უკრაინელი მოხალისეები საქართველოს მხარეს იბრძოდნენ აფხაზეთის ომში, ხოლო ქართველი მოხალისეები უკრაინის მხარეს იბრძვიან 2015 წლიდან და უცხოელი მეომრების ყველაზე დიდ ჯგუფს წარმოადგენენ (Kvakhadze 2022). უკრაინის წინააღმდეგობა ქართველებს საკუთარ ბრძოლას ახსენებს რუსული აგრესიის წინააღმდეგ (Kakachia 2017). უკრაინის გამარჯვება საქართველოსთვის ნიშნავს შესაძლებლობას, აღიდგინოს ტერიტორიული მთლიანობა და სამართლიანობა რუსი აგრესორის წინააღმდეგ. ქართველების დადებით დამოკიდებულებას უკრაინელების მიმართ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ 2022 წლის მარტში ჩატარებული გამოკითხვა ადასტურებს.



წყარო: *ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი, 31 ივლისი, 2023, https://caucasusbarometer.org*

უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრა: შედეგები ორმხრივი ურთიერთობებისთვის

საქართველოსა და უკრაინას შორის ურთიერთობები უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ მკვეთრად გაუარესდა. იმის ნაცვლად, რომ ეს შესაძლებლობა უკრაინასთან ძლიერი კავშირების აღსადგენად გამოეყენებინა სიტყვიერი და პრაქტიკული მხარდაჭერის გზით, ქართული ოცნების მთავრობის ბუნდოვანმა პოზიციამ რუსეთის აგრესიის თაობაზე უთანხმოება უკრაინასა და საქართველოს შორის კიდევ უფრო გააღრმავა და დაძაბულობამ სიმწვავის არნახულ დონეებს მიაღწია. უკრაინას მიაჩნია, რომ სტრატეგიული პარტნიორობა საქართველოსთან უკიდურესად დაზიანდა.

საქართველოს ხელისუფლების პოზიციისთვის დამახასიათებელია სოლიდარობის ნაკლებობა, კონფრონტაციული რიტორიკა და ხშირი ბრალდებები უკრაინის წინააღმდეგ. ქართული ოცნების წამყვანი პირები ორაზროვან კომენტარებს აკეთებენ უკრაინის შესახებ, რომლებშიც, ზოგჯერ, ისე შორსაც კი მიდიან, რომ ვარაუდს გამოთქვამენ ომის დაწყებაში უკრაინის ბრალეულობის შესახებ (Civil Georgia 2023a). ეს ორაზროვნება აიხსნება იმით, რომ ქართული ოცნების ხელისუფლებას სჯერა, რომ ვინაიდან საქართველო ნატო-ს უსაფრთხოების ქოლგის მიღმაა, ქვეყნის უსაფრთხოების გარანტირების საუკეთესო გზა რუსეთთან დაშოშმინების პოლიტიკის გატარებაა. უკრაინის აზრით კი, საქართველოს ასეთი ქცევა ამ ორ სახელმწიფოს შორის სტრატეგიულ პარტნიორობას აზიანებს.

უკრაინასა და საქართველოს შორის განხეთქილებამ უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი ინტერვენციის დაწყებიდან მალევე იჩინა თავი, როდესაც საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო არ აპირებდა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს შეერთებოდა საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან და პოტენციური უარყოფითი ეკონომიკური შედეგებიდან გამომდინარე (Civil Georgia 2022b). გარდა ამისა, მან უარი თქვა, სწვეოდა უკრაინას. ეს პოზიცია მკვეთრად განსხვავდება 2008 წლის აგვისტოში უკრაინის პოზიციისგან, როდესაც პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო საქართველოში რუსეთის ინტერვენციის დროს თბილისში ჩამოვიდა. რუსეთის აგრესიის დროს საქართველოდან ერთადერთი მაღალი დონის ოფიციალური ვიზიტი უკრაინაში 2022 წლის აპრილში შედგა, რომლის დროსაც საპარლამენტო დელეგაციამ კიევის რეგიონში ის ადგილები მოინახულა, სადაც რუსეთმა ომის დანაშაულები ჩაიდინა. თუმცა, ამ ვიზიტს წინ მწვავე კამათი უძღოდა საქართველოს და უკრაინის პარლამენტების სპიკერებს, შალვა პაპუაშვილსა და რუსლან სტეპანჩუკს, შორის (Civil Georgia 2022c).

გარდა ამისა, ქართული ოცნების მთავრობამ დაბლოკა ჩარტერული რეისი, რომლითაც ქართველი მოხალისეები უკრაინაში საომრად უნდა წასულიყვნენ, ხოლო მიზეზად დაასახელა ის, რომ ამ რეისის გაფრენაზე ნებართვის გაცემა ომში საქართველოს უშუალო ჩართულობად იქნებოდა აღქმული (Agenda Georgia 2022). პრეზიდენტმა ზელენსკიმ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან „მოხალისეთათვის ხელის შეშლის“ და „სანქციებზე ამორალური პოზიციის“ პასუხად საქართველოდან უკრაინის ელჩი გაიწვია (Yevropeyska

Pravda 2022). ეს რეაქცია იმაზე მიუთითებს, რომ უკრაინას მისი სტრატეგიული პარტნიორისგან დიდი მხარდაჭერის მოლოდინი ჰქონდა (Samkharadze 2022).

ქართული ოცნების რიტორიკაში ხშირად ისმის შეშფოთება, რომ საქართველო შესაძლოა სამხედრო კონფლიქტში ჩართული აღმოჩნდეს. ქართული ოცნების წარმომადგენლები ხშირად მიუთითებენ უკრაინის მთავრობის მაღალჩინოსნებსა და საქართველოს ოპოზიციურ პარტიას - ენმ-ს შორის. ამ ვარაუდებიდან შეთქმულების თეორია შეიქმნა, რომელსაც ქართული ოცნების მაღალჩინოსნები ხშირად იმეორებენ, თითქოს ენმ, უკრაინის ხელისუფლება და უცნობი დასავლელი ლიდერები - სავარაუდო „გლობალური ომის პარტია," ერთად ცდილობენ საქართველოს ომში ჩათრევას, რათა ეგრეთ წოდებული „მეორე ფრონტი" გახსნან რუსეთის წინააღმდეგ. ამ ტიპის განცხადება უკრაინის ერთმა მაღალჩინოსანმა მხოლოდ ერთხელ გააკეთა: 2022 წლის მარტში უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების და თავდაცვის საბჭოს მდივანმა, ოლექსი დანილოვმა, თქვა, რომ თუ რუსეთის წინააღმდეგ „მეორე ფრონტები" გაიხსნებოდა, ეს უკრაინას დაეხმარებოდა და ასეთი ფრონტების პოტენციურ ადგილებად საქართველო, მოლდოვა, პოლონეთი და იაპონია დაასახელა (Ukrayinska Pravda 2022). ამ კომენტარს არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია უკრაინის ოფიციოზის მხრიდან, მიუხედავად იმისა, რომ ის უტაქტო კომენტარი იყო საქართველოს მიმართ, რომელმაც დამანგრეველი ომი გადაიტანა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. თუმცა, არცერთ დასავლელ თუ უკრაინელ ლიდერს არ მოუწოდებია საქართველოსთვის, „მეორე ფრონტი" გაეხსნა. ამრიგად, ქართულმა ოცნებამ საკუთარი ნარატივი შიდა მოხმარებისთვის გააზვიადა, რათა ქართული ოცნების ხელისუფლება საქართველოს სტაბილურობისა და მშვიდობის გარანტად წარმოეჩინა.

რუსეთთან საქართველოს მზარდი ეკონომიკური კავშირები შეშფოთების ერთ-ერთი მთავარი საგანია უკრაინისთვის. უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ საქართველომ რუსეთთან სავაჭრო ბრუნვა გაზარდა და 2022 წელს ამ ქვეყნიდან იმპორტმა 79%-ს მიაღწია (Civil Georgia 2023b). საქართველოს ქმედებებით შეშფოთებული უკრაინა საქართველოს მთავრობას რუსეთისთვის სანქციების თავის არიდებაში დახმარების გაწევაში ადანაშაულებს (Civil Georgia 2022d). უკრაინას მიაჩნია, რომ ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს რუსეთთან, პოტენციურად ზრდის რუსეთის შესაძლებლობას, თავი აარიდოს სანქციებს და გააგრძელოს ომი. ამრიგად, ქართული ეკონომიკის რუსეთთან კავშირები არ აღიქმება მხოლოდ საქართველოს შიდა საქმედ. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი განსაკუთრებით საგანგაშო მაგალითია საქართველოს გადაწყვეტილება, აღედგინა პირდაპირი ფრენები რუსეთთან, რომლებსაც, მათ შორის, ისეთი კომპანიები ასრულებენ, რომლებიც სანქცირებულია უკრაინის მიერ დროებით ოკუპირებულ ყირიმში რეისების შესრულების გამო (Yevropeyska Pravda 2023). საპასუხოდ, უკრაინამ საქართველოს ფლაგმან გადამზიდავს, „ჯორჯიან ეარვეიზს," სანქცია დაუწესა რუსებისთვის ევროპაში სატრანზიტო ფრენების უზრუნველყოფის გამო (Civil Georgia 2023c).

კიდევ ერთი სადავო საკითხი სამხედრო დახმარებაა. საქართველომ უარი უთხრა უკრაინას თხოვნაზე, გადაეცა Buk-ის საჰაერო თავდაცვის სისტემა და „ჯაველინის" ტანკსაწინააღმდეგო სისტემები, რომლებიც მას საკუთარ არსენალში ჰქონდა, და ამ უარის მიზეზად საკუთარი თავდაცვითი შესაძლებლობები და ქვეყნის უსაფრთხოებისთვის

პოტენციური საფრთხეები დაასახელა (Radio Svoboda 2023). უკრაინამ საქართველოს ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება აღიქვა სოლიდარობის არარსებობად და ორმხრივი დახმარების პრინციპის დარღვევად, რადგან უკრაინამ Buk-ი საქართველოს 2008 წელს მიაწოდა რუსეთის აგრესიისგან თავის დასაცავად (Kakachia 2017).

საქართველო-უკრაინის ურთიერთობების გამწვავების ახალი რაუნდი 2023 წლის ივლისში დაიწყო იმის გამო, თუ როგორ ექცეოდა საქართველო ბრალდებულ ექსპრეზიდენტს და უკრაინის მოქალაქეს მიხეილ სააკაშვილს. გავრცელებულმა ვიდეომ, რომელშიც სააკაშვილის გაუარესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა ჩანს, დაძაბულობა მკვეთრად გაამწვავა და უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ მოუწოდა საქართველოს მთავრობას, სააკაშვილი უკრაინისთვის გადაეცა, ხოლო საქართველოს ელჩს უკრაინის დატოვება მოსთხოვა (Civil Georgia 2023d). უკრაინის რეაქციის სიმკაცრე იმის მაჩვენებელია, რომ უკრაინის ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ უკრაინა-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზაცია შეუძლებელია მანამ, სანამ ქართული ოცნება არის ხელისუფლებაში.

უთანხმოებების მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო პლატფორმებზე პროუკრაინული პოზიცია უკავია. მაგალითად, ის მხარს უჭერს გაერო-ს რეზოლუციებს, რომლებიც გმობს რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიების ანექსირების უკანონო მცდელობებს და მოუწოდებს რუსეთს, გაიყვანოს მისი ჯარები (Civil Georgia 2022e). ასევე, საქართველომ ხმა მისცა რუსეთის წევრობის შეჩერებას გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოში (Civil Georgia 2022f). გარდა ამისა, საქართველო აქტიურად უწევს ჰუმანიტარულ დახმარებას და მასპინძლობს უკრაინელ ლტოლვილებს. რაც შეეხება საქართველოს საზოგადოების მოსაზრებას უკრაინის მიმართ მთავრობის პოლიტიკის შესახებ, ის გაყოფილია და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ 2022 წლის მარტში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თანახმად, მოსახლეობის მესამედზე მეტს მიაჩნია, რომ მთავრობა მეტს უნდა აკეთებდეს უკრაინის მხარდასაჭერად.



წყარო: *ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი, 31 ივლისი, 2023, https://caucasusbarometer.org.*

ამავე დროს, საქართველოს მოსახლეობა, ზოგადად, აკრიტიკებს მთავრობის მიდგომას რუსეთის მოქალაქეების ქვეყანაში შემოსვლის მიმართ. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ 2022 წლის დეკემბერში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თანახმად, მოსახლეობის 57% არ ეთანხმება საქართველოს მთავრობის მიდგომას, ხოლო 69% ემხრობა რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის შემოღებას.



წყარო: *ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი, 31 ივლისი, 2023, https://caucasusbarometer.org.*

რომ შევაჯამოთ, უკრაინასა და საქართველოს შორის უთანხმოების მთავარი საკითხებია საქართველოს ხელისუფლების კონფრონტაციული რიტორიკა, უარი სამხედრო თვალსაზრისით დახმარებაზე, ეკონომიკური კავშირები რუსეთთან და უკრაინის უტაქტო კომენტარები საქართველოს პოლიტიკის შესახებ მისი დროებით ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ. ამ უთანხმოებებმა სერიოზულად დააზიანა ორმხრივი ურთიერთობები. მოვლენათა ასეთი განვითარების პოტენციური შედეგი საქართველოსთვის ერთგული მოკავშირის დაკარგვა და ასევე, რუსულ და უფრო ფართო ანტიდასავლურ ორბიტაზე მოხვედრაა. მიუხედავად ყველაფრისა, უკრაინა დაინტერესებულია საქართველოსთან მტკიცე კავშირების განვითარებით, ტრადიციული მეგობრული ურთიერთობისა და მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით. თუმცა, როგორც ჩანს, ნაკლებ სავარაუდოა, რომ უკრაინის ხელისუფლებამ ქართული ოცნების მთავრობასთან ითანამშრომლოს, მის მიმართ ნდობის ნაკლებობიდან და შემცირებული დიპლომატიური კავშირებიდან გამომდინარე.

ასოცირებული ტრიოს ევროპული ინტეგრაცია

უკრაინა, საქართველო და მოლდოვა ასოცირებულ ტრიოს ქმნიან - გაღრმავებული თანამშრომლობის ფორმალიზებულ სამმხრივ ფორმატს, რომელიც მათი ევროპული ინტეგრაციის საერთო მიზნის მიღწევის კოორდინირებას ემსახურება. შედარებით აქტიური თანამშრომლობის მიუხედავად, ამ ფორმატმა ვერ შეძლო მხარეთა შორის შინაარსიანი ურთიერთქმედების ინსტიტუციონალიზაცია. მაგალითად, ის არ მოიცავს დებულებებს ასოცირებული ტრიოს წევრებს შორის ღრმა თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის დაწესების თაობაზე (Gogolashvili 2021).

უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანმა ინტერვენციამ ასოცირებული ტრიოს თანამშრომლობის დინამიკა დაარღვია, უბიძგა რა უკრაინას, ოფიციალური განაცხადი შეეტანა ევროკავშირის წევრობაზე, რომელსაც მალევე საქართველო და მოლდოვა მიჰყვა. 2022 წლის ივნისში ევროკავშირმა უკრაინას და მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიანიჭა, საქართველომ კი თავისი ევროპული პერსპექტივის იურიდიული დადასტურება მიიღო. პოლიტიკური გადაწყვეტილება, არ მიეცათ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსი, საქართველოში დემოკრატიულ უკუსვლაზე არსებულ შეშფოთებას ეფუძნებოდა, რამაც ასოცირებული ტრიო, რეალურად, ევროპული ინტეგრაციის განსხვავებულ გზებზე დააყენა.

ამ გადაწყვეტილებას წინ პრემიერმინისტრ ღარიბაშვილის რამდენიმე კომენტარი უძღოდა, რომლებშიც მან განაცხადა, რომ საქართველო უკრაინასა და მოლდოვაზე მეტად იმსახურებდა კანდიდატის სტატუსს და რომ საქართველოსთვის სტატუსის არმიცემით ქვეყანა „ომის არგაჩაღების გამო“ დასაჯეს (Civil Georgia 2022g). ეს კომენტარები აღქმული იქნა უტაქტო განცხადებებად, რომლებიც ხელს უშლიდა უკრაინა-საქართველოს შერიგების პერსპექტივას, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ უკრაინის ბრძოლამ რუსული აგრესიის წინააღმდეგ უბიძგა ევროკავშირს, უფრო პოზიტიური პოზიცია დაეკავებინა ევროკავშირში ასოცირებული ტრიოს ქვეყნების, მათ შორის საქართველოს პოტენციურ წევრობის მიმართ. ასოცირებული ტრიოს გაყოფამ უკრაინის და მოლდოვის კანდიდატ ქვეყნებად და საქართველოს არაკანდიდატ ქვეყნად, საქართველოს და უკრაინის მთავრობებს შორის არსებულ უთანხმოებასთან ერთად, შეასუსტა ასოცირებული ტრიოს ქვეყნების ერთობა მათ ევროპულ ინტეგრაციაში.

დასკვნები და რეკომენდაციები

უკრაინასა და საქართველოს შორის ურთიერთობები ყველაზე დაბალ ისტორიულ ნიშნულზეა. მართალია, ბოლო წლებში ამ ქვეყნებს უთანხმოება ჰქონდათ, მაგრამ რუსეთის სრულმასშტაბიანმა შეჭრამ სიტუაცია დრამატულად გააუარესა. ამ შეჭრამდე ორ ქვეყანას შორის განხეთქილების ორი ძირითადი წყარო არსებობდა. ჯერ ერთი, უკრაინის ხელმძღვანელობას ძლიერი კავშირები ჰქონდა საქართველოს ოპოზიციასთან, რამაც

საქართველოს შიდაპოლიტიკური კონტექსტის არასათანადოდ აღქმა გამოიწვია. მეორე, საქართველოს ხელისუფლებამ უფრო შემრიგებლური პოზიცია აირჩია რუსეთის მიმართ.

ამჟამად ქართული ოცნების ხელისუფლება საქართველო-უკრაინის ურთიერთობების უმთავრეს დამაზიანებლად არის მიჩნეული. საქართველოს ხელისუფლების პოზიციამ რუსეთის აგრესიის თაობაზე შეარყია საქართველო-უკრაინის ურთიერთობების ღირებულებითი ხასიათი და სტრატეგიული პარტნიორობა ამ სახელმწიფოებს შორის. რუსეთის ინტერვენციის დროს უკრაინა იძულებულია სხვადასხვა სტილის დიპლომატია გაატაროს რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერის შესაზღუდად. საქართველომ საპასუხოდ კონფრონტაციული მიდგომის არჩევითა და უკრაინის მტრულ ქმედებებში დადანაშაულებით, მზარდი დაძაბულობა კიდევ უფრო გაამწვავა. გარდა ამისა, უკრაინისგან საქართველოს ბოლოდროინდელმა დისტანცირებამ მიზიდულობა დაუკარგა ევროპული ინტეგრაციის ერთობლივ გზას. ქართული ოცნების ხელისუფლების პოზიციის შედეგად ასევე დაიკარგა ნდობა უკრაინასა და საქართველოს შორის. თუ საქართველოს მთავრობა გააგრძელებს რუსეთთან კავშირების გაღრმავებას და ისეთ ქცევას, რაც უკრაინის კიდევ უფრო მეტ ანტაგონიზმს გამოიწვევს, ამ ნეგატიური ტენდენციის შემობრუნება გართულდება.

მიუხედავად ამისა, უნდა მოხდეს უკრაინელ და ქართველ ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობების პრიორიტიზაცია, რადგან სტრატეგიულ პარტნიორებს შორის უთანხმოებით სარგებელს მხოლოდ რუსეთი იღებს. ორივე ქვეყანამ უნდა სცადოს არსებული დაძაბულობის დაძლევა, საერთო ღირებულებებისა და სტრატეგიული პარტნიორობის უცვლელი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით. ნორმალიზაციის მისაღწევად გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომენდაციები.

საქართველოს მთავრობამ:

- მკაფიოდ გამოხატოს **სოლიდარობა უკრაინის მიმართ**. ეს გულისხმობს საქართველოს მხრიდან უკრაინის მისამართით დაუსაბუთებელი ბრალდებებისა და უტაქტო კომენტარების გაკეთებისგან თავის შეკავებას და მზადყოფნის ჩვენებას, კონსტრუქციულად დაამყაროს პირდაპირი კონტაქტები მაღალ დონეზე. ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მაღალი დონის ვიზიტი უკრაინაში.
- მეტი სიცხადე შეიტანოს კომუნიკაციაში **სანქციების** და **სამხედრო დახმარების** საკითხების თაობაზე. ეს მოითხოვს მკაფიო და უშუალო კომუნიკაციას იმ რისკების შესახებ, რომლებიც საქართველოს უსაფრთხოებასა და ეკონომიკას შეიძლება დაემუქროს ანტირუსული სანქციების შემოღების ან სამხედრო აღჭურვილობის გადაცემის შემთხვევაში.
- გამართოს შინაარსიანი დისკუსიები იმ ზომების თაობაზე, რომლებიც საქართველოს აქვს უკრაინის დასახმარებლად. მექანიზმების გაძლიერებას, რომლებიც ხელს შეუშლის რუსეთს, თავი აარიდოს სანქციებს, ასევე, ეფექტიანი კომუნიკაციის არხების შემუშავებას ამ პრობლემის დაძლევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.
- გააანალიზოს **საქართველოს სავაჭრო კავშირების დივერსიფიკაციის** და **რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირების** შესაძლებლობები. უკრაინასთან

ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების მიმართ ინტერესის დემონსტრირება საქართველოს მხრიდან ორმხრივი ურთიერთობების გამყარების სერიოზული სურვილის გამოხატულება იქნება.

- გამოხატოს მზადყოფნა **ასოცირებული ტრიოს ფორმატის გამოცოცხლების** მიმართ და გამოიყენოს ის თანამშრომლობის გაღრმავებისა და უფრო მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის მისაღწევად.
- გააქტიუროს მონაწილეობა მრავალმხრივ ინიციატივებში უკრაინასა და სხვა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქვეყნებთან. საქართველომ უნდა განიხილოს შესაძლებლობა, გამოხატოს ინტერესი **„სამი ზღვის ინიციატივის“** მიმართ და შექმნას თანამშრომლობის ახალი ჩარჩოები შავი ზღვის რეგიონში, ასევე უკრაინა-პოლონეთი-ბალტიის ქვეყნების ღერძთან. შავი ზღვის ქვეყნებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა გაზრდის ურთიერთკავშირს და გააძლიერებს რეგიონულ უსაფრთხოებას.

უკრაინის მთავრობამ:

- განიხილოს **საქართველოში ელჩის ხელახლა დანიშვნის** საკითხი. დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის არარსებობა ამცირებს კონტაქტებს ქართველ პოლიტიკურ აქტორებსა და უკრაინელ დიპლომატებს შორის.
- გააკეთოს განცხადებები მხოლოდ ავტორიზებული არხების მეშვეობით, საქართველოს უსაფრთხოებისთვის პოტენციური საფრთხეებისა და საქართველოს შიდა და რეგიონული პოლიტიკური გარემოს მგრძნობელობის გათვალისწინებით.
- გადახედოს თავის მიდგომას საქართველოდან სამხედრო დახმარების შესახებ და თავი შეიკავეთ ასეთი თხოვნებისგან, რადგან საქართველოს ნატო-ს უსაფრთხოების ქოლგა არ იცავს.
- **მოახდინოს ორმხრივი ურთიერთობების დეპერსონალიზაცია** და კონცენტრირდეს ინსტიტუციონალიზებულ საერთაშორისო თანამშრომლობაზე.
- მკაფიოდ გამოხატოს **ურყევი მხარდაჭერა საქართველოს ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაციის მიმართ.**
- ხელი შეუწყოს და წაახალისოს თანამშრომლობა უკრაინისა და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებებს შორის.

გამოყენებული ლიტერატურა

Agenda Georgia. 2022. "GD head: Gov't sending volunteers to Ukraine would mean direct involvement in the conflict." Available at: https://agenda.ge/en/news/2022/473. Accessed on: July 30, 2023.

Civil Georgia. 2022a. "87% of Georgians: Ukraine's War Ours Too." Available at: https://civil.ge/archives/478160. Accessed on: July 30, 2023.

Civil Georgia. 2022b. "Georgia Won't Join Russia Sanctions, PM Says." Available at: https://civil.ge/archives/475153. Accessed on: July 30, 2023.

Civil Georgia. 2022c. "Georgia's Parliament Speaker Rejects Bucha Invitation." Available at: https://civil.ge/archives/484824. Accessed on: July 30, 2023.

Civil Georgia. 2022d. "Georgia Aids Russian Smuggling, Ukraine Claims." Available at: https://civil.ge/archives/483585. Accessed on: July 30, 2023.

Civil Georgia. 2022e. "Georgia Backs UN Resolution on Condemning Russia's Ukraine Attack." Available at: https://civil.ge/archives/477101. Accessed on: July 30, 2023.

Civil Georgia. 2022f. "Georgia Votes to Suspend Russia from UN HRC." Available at: https://civil.ge/archives/484593. Accessed on: July 30, 2023.

Civil Georgia. 2022g. "'Maniacs' and 'Traitors': Garibashvili's Parliamentary Address Devolves Into Chaos." Available at: https://civil.ge/archives/497524. Accessed on: July 30, 2023.

Civil Georgia. 2023a. "GD Kobakhidze Speaks "Spies Revolution," Thanks Police." Available at: https://civil.ge/archives/529711. Accessed on: July 30, 2023.

Civil Georgia. 2023b. "News TI Georgia: Georgia's Economic Dependence on Russia Increased in 2022." Available at: https://civil.ge/archives/526770. Accessed on: July 30, 2023.

Civil Georgia. 2023c. "Ukraine Sanctions "Georgian Airways." Available at: https://civil.ge/archives/550231. Accessed on: July 30, 2023.

Civil Georgia. 2023d. "President Zelensky Urges Georgian Authorities to Transfer Saakashvili to Ukraine, Instructs Summoning Georgian Ambassador." Available at: https://civil.ge/archives/550565. Accessed on: July 30, 2023.

Gogolashvili, Kakha. 2021. "Associated Trio, What is Next?" *Georgian Foundation for Strategic and International Studies*. Available at: https://gfsis.org.ge/blog/view/1290. Accessed on: July 30, 2023.

Hayday, Dariya. "Audyt Zovnishnioyi Polityky: Ukrayina-Hruziya." *The Institute of World Politics*, 2016.

Kakachia, Kornely. 2014. "The Ukraine Crisis: Repercussions on Georgia," *Caucasus Analytical Digest*, no. 67–68. Available at: http://www.academia.edu/11900526/The_Ukraine_Crisis_Repercussions_on_Georgia. Accessed on: July 30, 2023.

Kakachia, Kornely. 2017. "The Return of Geopolitics: Georgia in the Shadow of Russian–Ukrainian Conflict," in *Neighbourhood Perceptions of the Ukraine Crisis from the Soviet Union into Eurasia?* eds. Gerhard Besier and Katarzyna Stokłosa, Routledge.

Kvakhadze, Aleksandre. 2022. "Foreign fighters in the Russia-Ukraine war," *Georgian Institute for Strategic and International Studies*. Available at: https://gfsis.org.ge/files/library/pdf/Security-Review-ENG--3269.pdf. Accessed on: July 30, 2023.

Radio Svoboda. 2023. "ZRK «Buk» i «Dzhaveliny». Hruziya vidmovylasia dopomohty Ukrayini zi zbroyeyu. Chomu?" Available at: https://www.radiosvoboda.org/a/hruziya-vidmova-zrk-buk-dzhaveliny-saakashvili/32218309.html. Accessed on: July 30, 2023.

Samkharadze, Nino. 2022. "Georgia-Ukraine Relations During the War: Strained Partnership," *Georgian Institute of Politics*. Available at: https://gip.ge/publication-post/საქართველო-უკრაინის-ურთი/. Accessed on: July 13, 2022.

Shelest, Hanna. 2013. "Two Canaries, Two Coal Mines: The Mirror Symbolism of Georgia and Ukraine," in *Georgian Foreign Policy. The Quest for Sustainable Security*, eds. Kornely Kakachia and Michael Cecire, Konrad-Adenauer-Stiftung.

Ukrayinska Pravda. 2022. "Danilov pro Karabakh, Kuryly i Kalininhrad: vidkryttia druhyh frontiv proty RF nam by dopomohlo." Available at: https://www.pravda.com.ua/news/2022/03/26/7334816/. Accessed on: July 30, 2023.

Yevropeyska Pravda. 2022. "Ukrayina vidklykaye svoyikh posliv z Hruziyi ta Kazakhstanu." Available at: https://www.eurointegration.com.ua/news/2022/03/1/7134985/. Accessed on: July 30, 2023.

Yevropeyska Pravda. 2023. "Krymskyi tsviakh u vidnosyny z Hruziyeyu: yak Tbilisi znyshchuye stratehichne partnerspvo z Kyievom." Available at: https://www.eurointegration.com.ua/experts/2023/05/19/7161976/. Accessed on: July 30, 2023.

HEINRICH BÖLL STIFTUNG
TBILISI
South Caucasus Region

GIP
საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

პუბლიკაცია მომზადდა „ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის - სამხრეთ კავკასიის რეგიონში“ მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის - სამხრეთ კავკასიის რეგიონში“ და „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:
ვოლოდიმირ პოსვიატენკო, *“საქართველოსა და უკრაინას შორის ურთიერთობებში არსებული გამოწვევები: სტრატეგიული მოკავშირეები ანტაგონიზმის სპირალში“*, პოლიტიკის ნარკვევი #52, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, აგვისტო 2023.

© Georgian Institute of Politics, 2023
13 Aleksandr Pushkin St, 0107 Tbilisi, Georgia
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge
For more information, please visit
www.gip.ge